განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

***დანართი №1***

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**
**შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი**

**შეფასების თარიღ(ებ)ი - 05-06 აპრილი 2023 წელი**

**დასკვნის წარდგენის თარიღი: 26/06/2023 წ**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

გაᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | **შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი** |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება** |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **212917174** |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | **√** |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | **√** |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | **√** |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **ქალაქი ქუთაისი** |
| იურიდიული მისამართი | **ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი N22** |
| ფაქტობრივი მისამართი | **ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი N22** |
| საფოსტო ინდექსი | **4600** |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | **http://nns.ge/ge/** |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | **n.nikoladze2004@gmail.com** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 77 60 55 24; 577 60 55 26 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | ლალი სადრაძე |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 599 92 85 18 |
| ელ-ფოსტა | saldadzelali22@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | განატლების ხარისხის ეროვნული ცენტრის 13/03/2023 წლის ბრძანება MES 2 23 0000285638 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 05-06 აპრილი 2023 წელი |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ხათუნა ბარაბაძე |
| წევრი (სახელი, გვარი) | მაკა ნადარეიშვილი |

## IV. ვიზიტის შეჯამება

**ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | | | |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ---------- -------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | | | |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი 3)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი 3. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი 3. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი 3. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი 3. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი | **მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☐ | ☒ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☐ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☐ | ☒ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | | | |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| ***სტანდარტი*** | ***საგანმანათლებლო პროგრამები*** | ***ხარვეზი*** |
|---|---|---|
| ***ქვესტანდარტი*** | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | | |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.2.* | **დარღვეულია, Teachers.gov.ge – ზე კონკურსის გამოცხადების წესი, რაც გამოიხატა იმაში, რომ სპორტის მასწავლებლი (მ.ზ) მიღებულია ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების გარეშე.** |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | 1.2. | **მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მათივე პროგრესის სანახავად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შეიმუშაონ მექანიზმები, რომლებიც მათ დაანახებს მოსწავლეების საჭიროებას, შემდეგ დაგეგმონ გამოკვეთილი საჭიროების შესაბამისი ინტერვენციები და მონიტორინგის საშუალებით შეამოწმონ მოსწავლეთა პროგრესი. აღნიშნული ქმედება მათ დაეხმარებათ დაგეგმონ მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროცესი.** |
| | 1.3. | **სკოლას მიეცა რეკომენდაცია: საგნის მასწავლებლებმა გაწერონ დეტალური და კონკრეტული გეგმა, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. ყოველი** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | **შეხვედრისას შესაძლებელია მათ გადახედვა და საჭიროების შესაბამისად შეცვლა. სემესტრის ბოლოს კი შესრულებული სამუშაოს ანგარიშის საფუძველზე, გადახედონ მომავალ სამოქმედო გეგმას. საჭიროების შემთხვევაში შეცვალონ მოკლე და გრძელ ვადიანი მიზნები.** |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *2.1.* | **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ მოახდინოს სკოლის და სკოლამდელის დაწესებულების იზოლირება ერთმანეთისგან, მინიმუმ საპირფარეშოებით მაინც.** |
| | *2.2.* | **ვინაიდან სკოლას საქვაბე აქვს სკოლის შენობაში, უსაფრთხოების მიზნით მიზანშეწონილია სკოლამ შენობიდან გაიტანოს საქვაბე მოშორებულ ადგილას.** |
| | *2.4.* | **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ მოიწვიოს ექსპერტთა ჯგუფი ლიფტის ტექნიკური მდგომარეობის გადასამოწმებლად.** |
| | *2.6. (გ)* | ვინაიდან სკოლის ექიმი აწარმოებს ჟურნალს, სადაც აღრიცხავს სამედიცინო დახმარების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | მიზნით მიმართვების, გაწეული პროცედურებისა და აღმოჩენილი დახმარების შესახებ ინფორმაციას, ასევე „დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის“ და „ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის“ ჟურნალებს, თუმცა ეს ფორმები არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ფორმებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ **ექიმმა ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული ფორმების კვალდაკვალ აწარმოოს აღრიცხვა.** |
| | *2.6. დ)* | **მორიგე მასწავლებლების ფუნქცია - მოვალეობები და პასუხიმგებლობები ასახონ დებულებაში ან თანამდებობრივი ინსტრუქციების ნაწილში. ასევე** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | **მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ასახონ სამუშაოს აღწერილობა, ხოლო შინაგანაწესში კი - პასუხისმგებლობები.** |
| | *2.7.* | **სკოლამ ბრძანების გამოცემის დროს იხელმძრვანელოს შინაგანაწესში გაწერილი გადაცდომის შესაბამისი პასუხისმგებლობებით.** |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.3.* | **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შინაგანაწესში, მასწავლებლის შერჩევის წესის ნაწილში ან საერთოდ ამოიღოს, ან კონკრეტულად გაწეროს კონკურსის მესამე ეტაპისთვის აუცილებელი მოთხოვნები.** |
| | *3.5.* | **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს პერსონალის გადამზადებას და მათ პროფესიულ განვითარებას.** |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი** | სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობს კარიეული დაგეგმვის ხელშემწყობ აქტივობებს, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა (სასკოლო და არამხოლოდ) აქტივობებსა და პროექტებში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | (გაეროს მოდელირება და სხვა), შექმნან საკუთარი პორტფოლიო; სწავლის გაგრძელების მიზნით, ეხმარება მათ მოიძიონ საერთაშორისო უმაღლეს სასწავლებლები. გასული სასწავლო წლის სკოლის კურსდამთავრებული სწავლასს ჰარვარდის უმაღლეს სასწავლებელში განაგრძობს.<br>აღსანიშნავია, რომ კვების ბლოკს მოპოვებული აქვს ხარისხის „ჰასპის" სერტიფიკატი. |

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | სკოლის მისიაა მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლების მიცემა. ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა. სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეების მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის. სკოლის მიზანია აღზარდოს მაღალი აკადემიური განათლების, ანალიტიკურად მოაზროვნე, მოტივირებული, კანონმორჩილი, ტოლერანტი, მრავალმხრივად განვითარებული პიროვნება, რომელიც შეძლებს როგორც სხვისი, ისე საკუთარი კულტურის წარმოჩენას, მიიღებს დასავლურ სტანდარტებთან მიახლოებულ, ხარისხიან, ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებულ განათლებას, შეიტანს საკუთარ წვლილს საზოგადოების წინსვლასა და საქართველოს მსოფლიო ინტეგრაციაში. |

**VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | |

**IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

| | | |
|---|---|---|
| **მოსწავლეთა რაოდენობა 380** | **ექსპერტი ეთანხმება** ☒ | **აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*** |
| | **ექსპერტი არ ეთანხმება** ☐ | |

**X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:**

**1. საგანმანათლებლო პროგრამები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლამ წამოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზისას, გამოიკვეთა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.<br>კერძოდ, სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე მოსწავლეებს სთავაზობს ყველა სავალდებულო საგანს, ხოლო მისიიდან გამომდინარე მას არჩეული აქვს კონკრეტული პრიორიტეტები და მოსწავლეებს სთავაზობს ინგლისურის ენისა და მათემატიკის სწავლებას მეტი საათბრივი კვირეული და წლიური დატვირთვით ვიდრე ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული, (აღნიშნული ცვლილება, მესამე მოდელის საათობრივი ბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების დეპარტამეტთან).<br>სკოლა, მისიიდან გამომდინარე, დამატებით სთავაზობს საგანამანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. სხვადასხვა კლუბებსა და წრეებს.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია:<br>**ზოგადი დებულებები ;**<br>**სკოლის მისია;**<br>**სკოლის მისიის ძირითადი ამოცანა;**<br>**სკოლის ძირითადი პრინციპები;**<br>**სკოლის ხედვა და ფასეულობები;**<br>**ზოგადი განათლების საფეხურების ამოცანები** : დაწყებითი საფეხურის ძირითადი ამოცანები; საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანები; საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანები;<br>**ზოგადი განათლების მისია საფეხურების მიხედვით** : დაწყებითი საფეხურის მისია; საბაზო საფეხურის მისია; საშუალო საფეხურის მისია<br>**სწავლა-სწავლების ზოგადი ორიენტირები:** სწავლა-სწავლების მიზნები; პრობლემების გადაჭრა; კრიტიკული აზროვნება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ზ.ა.

| | |
|---|---|
| | შემოქმედებითი აზროვნება; თანამშრომლობა; კომუნიკაცია; ეთიკა; მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა ; დროსა და სივრცეში ორიენტირება; კვლევა; სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა; პასუხისმგებლობა; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება; წიგნიერება<br>**ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები:** მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა; სიღრმისეული სწავლება; მოსწავლის მოტივაციის გაზრდა<br>**დისციპლინა;**<br>**მოსწავლეთა ჩართულობა;**<br>**სკოლის საერთო კულტურა;**<br>**სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები;**<br>**სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება;**<br>**სკოლაში სამუშაო პირობები და სასწავლო დღის განრიგი:** გაკვეთილების განრიგი დასწრებითი სწავლებისას (I-XII კლ); გაკვეთილების განრიგი (შესაძლო) დისტანციური სწავლებისას ( I-XII კლ);<br>**2022-2023 სასწავლო წლის კალენდარი** - რომელიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და განსაზღვრავს სასწავლო წლის დაწყება-დასრულებას; არდადაგებსა და უქმე დღეებს**;**<br>**საათობრივი ბადე;** განაყოფები;<br>**2022-2023 სასწავლო წლისათვის არჩეული სახელმძღვანელოების ნუსხა;**<br>**შემაჯამებელი დავალებების** რაოდენობები კლასებისა და საგნების მიხედვით; შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წეს;<br>**საგანმანათლებლო რესურსები;** საგანმანათლებლო რესურსების მართვა; საგანმანათლებლო რესურსების ტიპები;<br>**საგნების დაჯგუფების მთავარი პრინციპები:** საგნობრივი კათედრები, საგნობრივი კათედრების მუშაობის ფუნქციებია, საგნობრივი კათედრების მოწყობა, საგნობრივი კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. კლუბები;**<br>**შეფასების პრინციპები:** მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. მოსწავლის შეფასების კომპონენტები განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები; ქულების გამოანგარიშების წესი. კლასისა და საფეხურის დაძლევა. გამოცდის ტიპები, გაცდენები, შინ სწავლება.<br>**მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება;**<br>**ინკლუზიური განათლება:** ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; კლასის დამრიგებელი<br>**დამრიგებლის მოვალეობები:** სადამრიგებლო პროგრამა კლასების მიხედვით; მშობლებთან ურთიერთობა;<br>**მოსწავლის სწავლასთან დკავშირებული სირთულეების მართვა;**<br>**უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების თავისებურებანი;**<br>**მოსწავლეთა სასკოლო ექსკურსია:** სასწავლო ექსკურსიები და მათი როლი; სასწავლო ექსკურსიის მნიშვნელობა; საექსკურსიო სასწავლო გეგმის სტრუქტურა; სასწავლო ექსკურსიის შემდეგ; ექსკურსიის დაგეგმვის აუცილებელი პროცედურები; ტრანსპორტირების წესი; პასუხისმგებლობა<br>**დისტანციური სწავლების ორგანიზება;**<br>**დასკვნა;** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის" 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა; |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს მოსწავლეთა შესაბამის მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. კერძოდ, როგორც სტანდარტ 1.1.-ში აღვნიშნეთ, სკოლაში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი, მათ შორის ინგლისური და მათემატიკა განსხვავებული, დამატებითი საათბრივი დატვირთვით. გარდა ამისა, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით სავალდებულო არჩევით საგნებს, მოსწავლეთა ინსტერესებიდან გამომდინარე. სკოლაში არჩევით საგნად ისწავლება თურქული ენა (X, XI კლასებში), სამედიცინო ბიოლოგია (XII კლასი). გარდა ამისა, სკოლა ხელს უწყობს **არაფორმალური განათლების განვითარება**ს, ამ მიზნით მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სხვადასხვა წრეებსა და კლუბებში. სკოლაში 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შემდეგი **წრეები**: მუსიკის წრე „მზის სხივი“, ჭადრაკის წრე „კაისა“, მათემატიკის წრე, ინგლისური ენის წრე, თურქული ენის წრე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრე „ფერთა გამა“, ფრენბურთის წრე, მაგიდის ჩოგბურთის წრე, სხვადასხვა საგნის საოლიმპიადო ჯგუფი. **კლუბები**: ლიტერატურული კლუბი „ქიმერონი“, სამოქალაქო განათლბიეს კლუბი „პლურალიზმის პოლიფონია“, სამეცნიერი კლუბი „ნორჩი მეცნიერეი“, ნორჩ მკითხველთა კლუბი „ასფურცელა“, ეკო კლუბი „აიაკო“, კულინარიის კლუბი, ნატიფ ხელსაქმის კლუბი „მარგალიტები“, დებატკლუბი, მათემატიკის მოყვარულთა კლუბი „ინტეგრალი“ (VII-XII კლასებისთვის), მათემატიკის მოყვარულთა კლუბი „პითაგორა“, ისტორიის კლუბი „მემატიანე“. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს **„საშაბათო სკოლას“** , რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საბუნებისმეტყველო საგნები ( ქიმია, ბიოლოგია) და მათემატიკა ისწავლონ ინგლისურ ენაზე (VII–XII კლასებში). ასევე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეუძლიათ,მოემზადონ YOS-ისა და SAT-ის გამოცდებისთვის. სწავლების მიზანია, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველებს შეუქმნას ლექსიკური და ტერმინოლოგიური ბაზა. სკოლა ში თურქული ენა ისწავლება ფაკულტატური სახით III კლასიდან IX კლასის ჩათვლით, ხოლო საშუალო საფეხურზე მას უკვე მესამე უცხოური ენის სტატუსი აქვს. ექსპერტთა ჯგიფი ადგილზე ვიზიტისას გაეცნო დამატებითი მომსახურების პროგრამებსა და განხორცილებეულ აქტივობებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შესაბამისი პორტფოლიოები, რომლებშიც გაწერილი იყო წესდება (კლუბის შემთხვევაში), წრისა / კულბის წევრები; სამუშაო შეხვედრების შინაარსი და წრის / კლუბის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ანგარიში. მოსწავლეებმა კმაყოფილება და ინტერესი გამოხატეს სკოლაში მოქმედ წრეებსა და კლუბებთან მიმართებაში. რამდენიმე მოსწავლეთაგანი აღნიშნავდა, რომ მომავალი წლისათვის უკვე დაიტერესებული იყო საშაბათო სკოლით (ბიოლოგიის ინგლისურ ენოვანი კურსით).<br>**სააღმზრდელო მიმართულებით,** სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს - **გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურეობას**, რომლის ფარგლებშიც დაწყებითი კლასების (I-IVკლ) მოსწავლეები პედაგოგის დახმარებით განამტკიცებენ გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას.<br>სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობს კარიეული დაგეგმვის ხელშემწყობ აქტივობებს, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა (სასკოლო და არამხოლოდ) აქტივობებსა და პროექტებში (გაეროს მოდელირება და სხვა), შექმნან საკუთარი პორტფოლიო; სწავლის გაგრძელების მიზნით, ეხმარება მათ მოიძიონ საერთაშორისო და ადგილობრივი უმაღლეს სასწავლებლები. გასული სასწავლო წლის სკოლის კურსდამთავრებული სწავლასს ჰარვარდის უმაღლეს სასწავლებელში განაგრძობს.<br>ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კათედრის პორტფოლიოებს, კათედრის თავჯდომარის ანგარიშებს. მასწავლებელთა პირად პორტფოლიოებს.<br>კათედრის თავჯდომარის ანგარიშები, ძირითადად წარმოადგენს კათედრაზე განხორციელებული აქტივობების აღწერას. მათში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ნაკლებად არის გამოკვეთილის კათედრის, კონრეტულად კი მასწავლებლების ინდივიდუალური საჭიროებები. საგნის მასწავლებელთა პროტფოლიოს ანალიზიდან გამოიკვეთა: მასწავლებლების უმეტესობა აანალიზებენ მოსწავლეთა შემაჯამებელ დავალებებს, ანალიზი მხოლოდ აღწერით ხასიათისაა და სტატისტიკური მონაცემებია, მაგალითად, რამდენმა მოსწავლემ მიიღო 8,9 და ა.შ. კონკრეტული ქულა, გარდა ამისა გაანალიზებულია ტესტი (შემაჯამებელი დავალება), თითოეული დავალების მიმართება სამიზნე ცნებასთან და შემდეგ მოსწავლის მიღებული ქულა ამ დავალებაში. ეს მასწავლებელს ნათლად აჩვენებს, კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მოსწავლის მოსწრების (ცოდნისა და უნარჩვევის) მიღწევის დონეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შემაჯამებლის ანალიზს მოჰყვება რეფლექსია, რომელიც ასევე ზოგადი ხასიათისაა. მაგალითად, *„მოსწავლეების უმრავლესობამ კარგად გაართვა თავი შემაჯამებელ სამუშაოს, თუმცა საჭიროდ ჩავთვალე დამატებით გაგვეკეთებინა ლექსიკური და გრამატიკული სავარჯიშოები“*, ან *„შემაჯამებელი სამუშაო დიდწილად იქნა მიღწეული! კლასის საშუალო მაჩვენებელიც ამაზე მიუთითებს და იძლევა სამომავლოდ შედეგების კიდევ მეტად გაუმჯობესების შესაძლებლობას!“* პირველ რეფლექიაში არ ჩანს, საიდან გამოიკვეთა გრამატიკისა და ლექსიკის მიმართულებით მოსწავლეთა საჭიროება. მეორე შემთხვევაში, არ ჩანს ის რეკომენდაციები თუ როგორ შეიძლება სამომავლო შედეგების გაუმჯობესება. აქვე აღსანიშნავია, საბუნებისმეტყველო კათედრის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რომელშიც მასწავლებელს გაკეთებული აქვს ჯერ ტესტის ანალიზი (რომელი დავლება რომელ სამიზნე ცნებაზე გადის), შემდეგ სტატისტიკურად დაჯგუფებული აქვს რომელი დავალება გაუჭირდა ინდივიდუალურად მოსწავლეს, და საერთო ჯამში, რომელი ცნების დაძლევა გაუჭირდა კლასს კონკრეტულ თემასთან მიმართებაში. ამ საშუალებით მასწავლებელი ადგენს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეს და შემდეგ სახავს სარეკომენდაციო ინტერვენციებს, რომელთა განხორციელებაც შეიძლება აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. ამ შემთხვევაშიც კომენტარი ზოგადი რეკომენდაციებით შემოიფარგლება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | „აღნიშნული პრობლემის გამოსასწორებლად ვაპირებ მეტი დრო დავუთმო კვლევის კომპონენტს და მსგავსი კითხვების განხილვას, რომელშიც იქნება გრაფიკები და დიაგრამები. ასევე თითოეული სისტემის სწავლებისას მეტ დროს დავუთმობ მათი შემადგენელი ქსოვილების აგებულებას, ფუნქციებს და მათ შორის ასოციაციის საკითხებს“.<br>ინტერვიურების დროს ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეების მართვით. აღნიშნული მიმართულებით, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კონრეტული, გამოკვეთილი მიდგომა არ აქვთ, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში დაკვირვების შედეგად იღებენ ერთობლივ ზომებს, თუ რა აქტივობები განახორციელონ საჭიროების შემთხვევაში. გარდა ამისა სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც კონსულტაციას უწევს მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლელბს. ფსიქოლოგს გაწერილი აქვს სამუშაო გეგმა, მთლიან კლასთან შეხვედრები, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური შეხვედრები მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.<br>პორტფოლიოში წარმოდგენილი ანგარიშებისა და განხორციელებული აქტივობების ანალიზის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა მასწავლებლებს და შესაბამისი საკითხი განიხილა მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო ტესტირება ტარდება სკოლაში ახალი მოსწავლის მიღებისას, ხოლო როდესაც მასწავლებელი ახალ კლასში შედის მაგ შემთხვევაში არ ატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტირებას და მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა ძირითადად დაკვირვების შედეგად ხდება, თუმცა ამის შესახებ არაფერი დამადასტურებელი არ ჰქონდათ წარმოდგენილი.<br>**მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მათივე პროგრესის სანახავად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია:** შეიმუშაონ მექანიზმები, რომლებიც მათ დაანახებს მოსწავლეების საჭიროებას, შემდეგ დაგეგმონ გამოკვეთილი საჭიროების შესაბამისი ინტერვენციები და მონიტორინგის საშუალებით შეამოწმონ მოსწავლეთა პროგრესი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღნიშნული ქმედება მათ დაეხმარებათ დაგეგმონ მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროცესი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა;<br>ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საათობრივი ბადის შეთანხმების თაობაზე (MES 4 22 0000917288, 18/08/2022);<br>კათედრის პორტფოლიო;<br>მასწავლებლის ინდივიდუალური პორტფოლიო;<br>შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;<br>ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან;<br>ინტერვიუ სკოლის მოსწავლეებთან. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლა იზიარებს ინკლუზიური განათლებისადმი განათლების სისტემის მიდგომას და გააჩნია მისი განხორციელების შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი, რითაც შესაძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა სხვა მოსწავლეებთან ერთად.<br>ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა ერთი სსსმ მოსწავლე, (აღნიშნულის შესახებ, ფიქსირდება სასკოლო სასწავლო გეგმაშიც). მოსწავლის პორტფოლიოში მოცემულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, მოსწავლის ძლიერი მხარე, საჭიროებები და სარეკომენდაციო აქტივობები. სკოლაში დირექტორის ბრძნებით, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, (ბრძანება N2-151 შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმიში" სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ). ასევე შექმნილია ჯგუფი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის შესახებ (ბრძანება N2-173 შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში“ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ).<br>მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ყველა საგანში. აღნიშნული გეგმის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ საგანში გაწერილი გძელვადიანი მიზანი არის ზოგადი და ბუნდოვანი. მაგალითად, „მოსწავლემ უნდა შეძლოს დამოუკიდებლად წერა და კითხვა“. ნაკლებად გასაგებია, რა იგულისხმება “წერაში“, სიტყვების დაწერა, გადაწერა, შინადადებების დაწერა - გადაწერა, თუ სტანდარტით გათვლილი მოკლე წინადადებების შედგენა დაწერა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მოსწავლის შეფასებაში აღნიშნულია, რომ ის ვერ წერს ანბანის მარტივ ასოებს და არ შეუძლია კოპირება. ინდივიდუალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შუალედურ ანგარიშში წერია, რომ (2022 წლის 22.10) რომ შეჯამდა პირველი სემეტრის მონაცემები და გამოიკვეთა, რომ სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებლების დახმარებით მისთვის შექმნილი პროგრამა წარმატებით აითვისა. ანალოგიურად ვკითხულობთ მეორე სემეტრის დასაწყისში, შეხვედრის ოქმშიც (2023 წლის 30.01), რომელიც პირველი სემესტრის ოქმში არსებული ანგარიშის იდენტურია.<br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია:** საგნის მასწავლებლებმა გაწერონ დეტალური და კონრეტული გეგმა, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. ყოველი შეხვედრისას შესაძლებელია მათ გადახედვა და საჭროების შესაბამისად შეცვლა.<br>სემესტრის ბოლოს კი შესრულებული სამუშაოს ანგარიშის საფუძველზე, გადაიხედოს მომავალი სამოქმედო გეგმა. საჭიროების შემთვევაში შესაძლებელია მოკლე და გრძელ ვადიანი მიზნების შეცვლა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>მულტიპლინური გუნდის დასკვნა 23.06. 2023;<br>სკოლის დირექტორის ბრძანება N2-151 შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმიში“ სსსმ მოსწავლისათვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ.<br>სკოლის დირექტორის ბრძანება N2-173 შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში" ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ.<br>შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის" ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემშავების მიზნით შექმნილი ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმი N1, N3; |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმს" სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები (შეფასების სისტემა). სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. გამნსაზღვრელი შეფასების მიხედვით მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10. ქულების გამოანგარიეშების წესი (საგნის სემესტრულის ქულის და საგნის წლიური ქულის, საფეხურის ქულის) შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ წესთან.<br>სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივი სტანდარტის მიხედვით; ასევე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განმსაზღვრელი შეფასების სქემები საგნისა და მიზნის შესაბამისად. მაგალითად, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში - საკლასო დავალების შეფასების სქემა. უცხოურ ენაში, საკლასო დავალების, საშინაო დავალების შეფასების სქემა და ასევე კომპეტენციების მიხედვით: მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის შეფასების რუბრიკა.<br>გარდა ამისა, სკოლას წარმოდგენილი აქვს სოლო ტაქსონომიის გამოყენებით მოსწავლეთა შეფასება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.<br>რაც შეეხება შეფასების სისტემის გამჭვრივალობას, აღსანიშნავია, რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალეა. ის ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. ინტერვიურებისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებელები მოსწავლეებს დავალების შესრულებამდე აცნობენ შეფასების სქემას, გარდა ამისა, ელექტრონულ ჟურნალში, თითოეულ დავალებასთან მიმართებით ატვირთული აქვთ შეფასების სქემა. ასევე აღნიშნეს მშობლებმა, რომ შეფასების სისტემა გამჭვრივალეა, რადგან მათ საშუალება აქვთ თვალყური ადგევნონ საკუთარი შვილების შეფასებას, ელექტრონული ჟურნალის - edu page-ს-საშუალებით, განმსაზღვრელი შეფასების შემთხვევაში მოსწავლეებს ქულობრივ შეფასებებთან ერთად მისდით განმავითარებელი კომენტარი.<br>მასწავლებლებმა, ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასების შედეგებს იყენებენ მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. საჭიროების შემთხვევაში, მიღებული შედეგების მიხედვით, მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ დამატებით მეცადინეობებსა და დამატებით დავალებებს.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ სასკოლო სასწავლო გეგმა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ შეფასების სქემები და რუბრიკები;<br>შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ შემაჯამებელი დავალების შეფასებები;<br>ინტერვიუ მოსწავლეებთან;<br>ინტერვიუ მშობლებთან |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმს“ შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 28 დეკემბერს დირექტორის ბრძანებით (ბრძანება #2-236).<br>აღნიშნული დებულების მიხედვით, გაწერილია მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, რომლის მიხედვთაც მშობელი სკოლაში ცხადდება: დირექციის, დამრიგებლის ან საგნის მასწავლებლის მოწვევით, ყოველი კვირის პარასკევს (სურვლის შემთხვევაში); თუ მშობელი საჭიროდ მიიჩნევს გასაუბრებას რომელი საგნის პედაგოგთან, ამ შემთხვევაში დამრიგებელი უზრუნველყოფს მათ შეხვედრას.<br>დებულებაში ასევე გაწერილია მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია: მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება: მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით), საჭიროების შემთხვევაში Zoom-ის ან სხვა ონლაინ პლატფორმის გამოყენებით, ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს, ელექტრონული ფოსტითა და ტელეფონით, სოციალური ქსელების საშუალებით. გარდა ამისა მოსწავლის მშობელთან / მშობლებთან კომუნიკაციას პერიოდულად ახორციელებს სკოლის დირექტორი, სკოლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მუშაობასთან დაკავშირებით, ასევე მიმდინარე ნოვაციებთან და რიგ სხვა საკითხვებთან დაკავშირებით.<br>ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნული საკითხით დაინტერესდა ვიზიტის პერიოდში. სკოლისა და საგაკვეთილო პროცესის დათვალიერებისას, აღსანიშნავია, რომ საგნის მასწავლებლები გაკვეთილზე დაუყოვნებლივ აღნიშნავდნენ მოსწავლის დასწრებას, ხოლო გაკვეთილის დასრულების შემდეგ კი ელექტრონულ ჟურნალში შეაქვთ მიმდინარე საშინაო დავალებები. ამავე მიმართულებით, მშობლების ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მათ უშუალო კომუნიკაცია აქვთ საგნის მასწავლებლებთან, თითეული საგნის მასწავლებლის საკონტაქტო ინფორმაციას დამრიგებელი აწვდით და სურვილის შემხვევაში შეუძლიათ ეკონტაქტონ საგნის მასწავლებელს. გარდა ამისა, მშობლებს წვდომა აქვს საკუთარი შვილების ელექტრონულ ჟურნალთან, რომლის საშუალებითაც შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ შვილის აკადემიურ მოსწრებას, დავალებებს და ა.შ.<br>გარდა ამისა, ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მშობელთა ჩართულობის და მოსწავლეთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში დაიგეგმა შეხვედრა მშობლებთან. მათ საკუთარ პროფესიას გაუწიეს პოპულარიზაცია. ასეთი იყო : „დიზაინი და სწორი ჩაცმა“და „საბანკო საქმე“<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ მშობელთან ურთერთობის დებულება;<br>ინტერვიუ მშობლებთან;<br>ვიზუალური დათვალიერება;<br>ელექტრონული ჟურნალი - edu-page; |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი „ შპს ნინო ნიკოლაძის სკოლა-ლიცეუმის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები“. დოკუმენტი დამტიკცებულია 2022 წლის 4 აპრილს სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება #2-39). აღნიშნული დოკუმენტი მოქმედებს პრინციპით: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით, დოკუმენტში გაწერილია შემდეგი აქტივობების განხორციელება: მოსწავლეთა, პედაგოგთა და მშობელთა გამოკითვა, ასევე საგაკვეთილო პროცესში დაკვირვება. აღნიშნულ დოკუმენტს დანართი სახით ახლავს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. გეგმაში მოცემულია ის კონკრეტული ქმედებები, რომელიც სკოლამ უნდა განახორციელოს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობეების მიზნით, გეგმაში მოცემულია განხროციელების პერიოდი. შესაბამისი ქმედებებია: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შემოწმება და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისიწნებული მატერიალურ-ტექნიკური შესაბაისობის დადგენა; სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სასწავლო პროგრამის არსებობის დადგენა, შედეგების ანალიზი და ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება. მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების შემოწმება და გაცდენების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება; სასწავლო პროგრამით განსაზღვრული შედეგების შემოწმება; შემაჯამებელი დავალებების ჩატარება და ანალიზი; გამოკითხვის ფორმების შემუშავება და გამოკითხვის შედეგების ანალიზი. გაკვეთილზე დასწრება და საგაკვეთილო პროცესის ხარისხის შემოწმება და სხვა.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მიზნით სკოლა ატარებს: მასწავლებელთა და მშობელთა ანონიმურ გამოკითხვას, მიღებულ შედეგებს აანალიზებს; კათედრის წევრები და ადმინისტრაცია, სასწავლო პროცესზე დაკვირვების მიზნით ეწრება გაკვეთლებს, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აფასებს მათ წინასწარ შემუშავებული შეფასების საშუალებით და განმავითრებელ უკუკავშირს უბრუნებს მასწავლებელს. საგნობრივი კათედრები ყოველი სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს აკეთებენ გაწეული სამუშაოს ანგარიშს და წარუდგენენ სკოლას. ანგარიშს აკეთებს ასევე დირექტორის მოადგილე, ექიმი, სამეურნეო ნაწილის გამგე ფსიროლოგი და სხვა. აღნიშნული ანგარიშები გაკეთებულია სხვადასხვა კუთხით. სკოლის დირექტორის ორი მოადგილის ანგარიშია წარმოდგენილი: დაწყებითი საფეხურის მიმართულებით დირექტორის მოადგილის ანგარიშში წარმოდგენილია მოსწავლეთა რაოდენობა დაწყებით საფეხურზე, საფეხურის ფარგლებში განხორციელებული კვირეულების, ღონისძიებების და ღია გაკვეთლების აღწერა. საშუალო და საბაზო საფეხურის მიმართულებით დირექტორის მოადგილის ანგარიშში წარმოდგენილია: საფეხურის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა, მოსწავლეთა რაოდენობა და ა.შ.<br>ხარისხის მართვის მენეჯერის 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიშში მოცემულია სასწავლო პროცესის ზოგადი აღწერა, მოსწავლეთა რაოდენობა 2019-2020 სასწავლო წლისა და 2021-2022 სასწავლო წლის მიხედვით. ანგარიშში აღნიშნულია რომ 2019-2020 სასწავლო წელს მოსწავლეთა რაოდენობამ მკვეთრად იკლო, ხოლო 2021-2022 სასწავლო წელს მდგომარეობა გაუმჯობესდა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს 7 კათედრა და ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. ანგარშში მოცემულია, ასევე, ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეების წარმატება: 2021-2022 სასწავლო წელს სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო 20 მოსწავლემ და მათშორის 8 მოსწავლე გადავიდა მეორე ტურში, ხოლო 1 მოსწავლე მესამე ტურში. დიაგრამების სახით, თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მოსწავლეთა მაღალი და დაბალი აკადამიური მაჩვენებლები საფეხურებისა და საგნების მიხედვით. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა სასწავლო პროცესის შიდა შეფასება-მონიტორინგი, რომელშიც ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთდ ჩართულები იყვნენ დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელები. ამ შემოწმება-შეფასების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის რეკომენდაციები. მიღებულ ინფორმაცის სკოლის ადმინისტრაცია იყენებს სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მიზნით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | შპს ნინო ნიკოლაძის სკოლა-ლიცეუმის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდჰომი გაუმჯობესების მექანიზმები“;<br>კათედრის თვჯდომარეების ანგარიშები;<br>დირექტორის მოადგილის ანგარიში (2021-2022 სასწავლო წელი, დაწყებით საფეხური);<br>ანკეტირების შედეგები და მათ ანალიზი (2021-2022 სასწავლო წელი);<br>სკოლის დირექტორის მოადგილის ანგარიში (2021-2022 სასწავლო წელი, საბაზო და საშუალო საფეხური); |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

## 2. მატერიალური რესურსი

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლა, საკუთრების უფლებით ფლობს მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა ნაგებობას. შენობა ხუთსართულიანია, მისი საერთო ფართი 2682,3 კვ.მ-ია, ხოლო მიწის ნაკვეთის ფართია 3000 კვ.მ. სკოლა არის 4 საართულიანი და აქვს მანსარდაც. მანსარდაში განთავსებულია ბიბლიოთეკა და არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი სივრცეები, შეხვედრების ოთახები, სამასწავლებლო.<br>**დაწესებულების პირველ სართულზე ფუნქციონირებს სკოლამდელი განათლების (ხუთწლიანების) 2 ჯგუფი. სკოლაც და ბაღიც სარგებლობს ერთი შესასვლელით, თუმცა სწავლის დაწყების დროები არის განსხვავებული, რათა მოსწავლეები არ შეხვდნენ ერთმანეთს. დირექტორის განმარტებით, აღმზრდელები ხვდებიან გარეთ და ყველა აღსაღზრდელი შემოჰყავთ აღმზრდელებს. ასევე სპეციალურად გამოყოფილი ასისტენტი აცილებს საპირფარეშოში აღსაზრდელებს, რათა არ მოხდეს თანაკვეთა სკოლის მოსწავლეებთან. აღსაზრდელებისთვის ცალკე გამოყოფილი, იზორლირებული სველი წერტილები სკოლას არ აქვს. სასადილოც საერთოა, თუმცა სარგებლობენ განსხვავებულ დროებში.**<br>**მიუხედავად ამისა სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოახდინოს სკოლის და სკოლამდელის დაწესებულების** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **იზოლირება ერთმანეთისგან, მინიმუმ საპირფარეშოებით მაინც.**<br><br>**არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ განაცხადა, რომ გააუქმებს სკოლამდელი განათლების ჯგუფებს.** |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი N22 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 03.01.22.055 |
| *კვ.მ.* | 3250.4 |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>• საკადასტრო გეგმა;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• ინტერვიუ დირექტორთან და ბაღის ასისტენტებთან. |
| **შეფასება** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით: ასაკისა და ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული მერხებით და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, სასკოლო დაფებით, პროექტორებით და მონიტორებით. თითქმის ყველა კლასში დამონტაჟებულია პროექტორი ან ჭკვიანი დაფა, რაც ხელს უწყობს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვას. ოთახების ფართი არის შესაბამისი 20 მოსწავლის თავისუფლად განსათავსებლად. საკლასო ოთახები კეთილმოწყობილია. კლასებში გამოფენილია მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები, პოსტერები, და სხვადასხვა მიზნობრივი თვალსაჩინოებები. სკოლას სულ აქვს 380 ინდივიდუალური მერხი და სკამი, |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • მერხებისა და სკამების შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• პროექტორებისა და მონიტორების შესყიდვის; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • დოკუმენტაცია ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შენობაში, აქვს სპორტული დარბაზი და გასახდელები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის, სკოლას შეძენილი აქვს სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი: ბურთები, ჩოგბურთის მაგიდები და შესაბამისი ჩოგნები, ჭადრაკის დაფები და სხვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სპორტული ინვენტარის შეძენის დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს ორი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ცალ-ცალკე ფიზიკისა და ქიმია-ბიოლოგიის. ლაბორატორიები აღჭურვილია სრულად. აქვთ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტი, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება N572-ით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე დამტკიცებულ რეკომენდაციების“ შესაბამისია. ლაბორატორიული აღჭურვილობა განთავსებულია ორივე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კაბინეტში, რომელშიც მოწყობილია სადემონსტრაციო მაგიდები აღჭურვილი ონკანებითა და ნიჟარებით, ამპერმეტრებითა და ვოლტმეტრებით. ლაბორატორიაში არის გამწოვი ასევე ბუნებრივი განიავების საშუალება. აქვთ გამწოვი. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების დებულება, რომლის ძირითადი პრინციპი ლაბორატორიით სარგებლობის ყველასათვის (იგულისხმება მოსწავლეები) თანასწორობა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ხელმისაწდომობაა. დებულებაში მოცემულია ლაბორატორიით სარგებლობის უსაფრთხოების წესები, ასევე მოსწავლეთა და ლაბორატორიის ხელმძღვანელის ფუნქციები. აღნიშნული წესების დაცვა ხელს უწყობს ლაბორატორიის უსაფრთხო გამოყენებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ლაბორატორიის სარგებლობის დებულება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას ელექტროენერგია, გაზი და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან, სკოლას აქვს წყლის მარაგისთვის შესაბამისი რეზერვუარები. სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. სკოლის ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. სკოლის ოთხივე სართულზე მოწყობილია სველი წერტილები გოგონებისთვის ვაჟებისთვის და პერსონალისთვის. პირველ სართულზე ორი სველი წერტილი გოგონასთვის და ვაჟისთვის ადაპტირებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებაზე. სველი წერტილები მუდმივად აღჭურვილია ქაღალდით, თხევადი საპნით, ქაღალდის ხელსახოცებით.<br>**სკოლას აქვს საქვაბე შენობის შიგნით. მიუხედავად იმისა, რომ საქვაბის კარს აქვს საკმაოდ დიდი ჭრილები ორნამენტების სახით, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი აირის გაფანტვას და აღარ დაგროვდება დახურულ სივრცეში, ავტორიზაციის ექსპერტებმა მაინც ჩათვალეს მიზანშეწონილად, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს დასკვნა წარმოედგინა სკოლას. სკოლამ ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაციის გათვალისწინებით მაშინვე მიმართა შესაბამის ორგანოებს უსაფრთხოების ნორმების გადასამოწმებლად. სკოლის დირექტორის განმარტებით,** |

| | |
|---|---|
| | **გამოძახებულმა „სოკარის“ წარმომდგენელმა შეამოწმა ეს გარემოება და უსაფრთხოდ ჩათვალა. ავტორიზაციის ექსპერტებმა მოვითხოვეთ წერილობითი დასკვნა, რაზეც დირექტორისგან მივიღეთ პასუხი, რომ წერილობითი დასკვნა არ დაუტოვებიათო, „უსაფრთხო რომ არ ყოფილიყო მაშინ გაზის მიწოდებას ჩავჭრიდითო“. საქმე ისაა, რომ საქვაბეს აქვს ღია რიკულებიანი რკინის კარი, რომელიც (ავარიის შემთხვევაში) არ მისცემს ბუნებრივ აირს დაგროვების საშუალებას, მით უფრო როდესაც დამცავი უყენიაო. თუმცა, სოკარის ექსპერტმა სიტყვიერი რეკომენდაცია მაინც მისცა, რომ საქვაბე გაეტანათ სამომავლოდ სკოლის შენობიდან. რაიმე სახის წერილობითი განმარტება ამის თაობაზე არ დაუწერია მოწვეულ სპეციალისტს.** <br>**ექსპერტებიც ამ რეკომენდაციას იზიარებენ და შენობიდან საქვაბის გატანის ვალდებულებას უყენებენ სკოლას.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესაბამისი გადასახადის ქვითრები; <br>• ვიზუალური დათვალიერება |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** <br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო ბიბლიოთეკა განთავსებულია დიდ და ნათელ ოთახში. თაროებზე წიგნები განთავსებულია კატალოგის მიხედვით. შემუშავებულია ბიბილიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბილიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. ბიბილიოთეკაში არის ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერი და პრინტერ/ქსეროქსის აპარატი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. სულ აღრიცხულია 2500 წიგნი. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასისა და ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. გამოწერილია პერიოდული გამოცემა ,,ახალი განათლება“ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ბიბლიოთეკის დებულება;<br>• ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი;<br>• ვიზუალური დათვაიერება;<br>• წიგნების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• ხელშეკრულებები პერიოდულ გამოცემებზე. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. შენობის შესასვლელში არის პანდუსი, სართულებზე გადასაადგილებლად - ლიფტია. შენობის ყველა სართულზეა სველ წერტილები, მათ შორის პირველ სართულზე ორი სველი წერტილი სსსმ პირებისთვის. სკოლას აქვს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი სსსმ მოსწავლეებისთვის. ჰყავს სპეცმასწავლებელი და აქვს რესურს ოთახი. სკოლაში არის 1 სსსმ მოსწავლე. ასევე არის ფსიქოლოგი. სკოლას აქვს ლიფტი, რომელის სასუალებითაც ყველა სართულზე გადაადგილდება მსურველი. ლიფტი ვიზუალურად გამართულია, სკოლამ წარმოადგინა სერტიფიკატიც, თუმცა ექსპლუატაციის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ გადამოწმებულიყო ტექნიკური მდგომარეობა, რა **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ მოიწვიოს ექსპერტთა ჯგუფი ლიფტის ტექნიკური მდგომარეობის გადასამოწმებლად.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ლიფტის დამონტჟების ხელშეკრულება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

<table>
<tr><td colspan="2">2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას</td></tr>
<tr><td>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</td><td>სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 17 კომპიუტერი. საკლასო ოთხების უმრავლესობაში დამონტაჟებული კომპიუტერი, პროექტორი და მონიტორი, სადაც არ არის დამონტაჟებული, არის შესაძლებლობა მოძრავი კომპიუტერის, პროექტორის და ეკრანის გამოყენებისა. გარდა ამისა კომპიუტერები გამოყენება სკოლის ადმინისტრაციის მიერ. სულ სკოლის ბალანსზე 48 კომპიუტერი და ლეპტოპია. სკოლა ინტერნეტით უზრუნველყოფილია. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებ-გვერდი http://nns.ge/ge/, ელ. ფოსტა: n.nikoladze2004@gmail.com<br>სკოლის ვებ-გევრდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, მისია, სკოლის ადმინისტრაციის შემადგენლობა, კათედრების ჩამონათვალი, სკოლის შინაგანაწესი და სხვა. ვებ-გვერდის დიზაიში ჩაშენებულია ელ. ჟურნალი ფანჯარა. სკოლის ვებ. გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.</td></tr>
<tr><td>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</td><td>• სკოლის ვებ-გვერდი ;<br>• ელ.ფოსტა;<br>• კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია.</td></tr>
<tr><td>შეფასება:</td><td>☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია</td></tr>
</table>

| |
|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები. შენობა აღჭურვილია სახანძრო კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორებით, ცეცხლმაქრებით, შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. სკოლას შემუშავებული აქვს „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა", რომლის ფარგლებში შექმნილია საგანგებო შტაბი და გაწერილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერება ცეცხლმაქრების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა". |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და მიმანიშნებლები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერება |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას ჰყავს ექიმი და შემუშავებული აქვს ექიმის დებულება. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, სადაც განთავსებულია სამედიცინო ინვენტარი. ექიმი აწარმოებს ჟურნალს, სადაც აღრიცხავს სამედიცინო დახმარების მიზნით მიმართვების, გაწეული პროცედურებისა და აღმოჩენილი დახმარების შესახებ ინფორმაციას, ასევე „დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის" და „ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის" ჟურნალებს, თუმცა ეს ფორმები არ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ფორმებს. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ექიმს ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული ფორმების კვალდაკვალ ეწარმოებინა აღწერა.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ექიმის დებულება;<br>პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქტაჟი/პროტოკოლი;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლის ტერიტორია შემოღობილია რკინაბეტონითა და მავთულის ბადეებით. სკოლის ტერიტორიის დაცვას უზრუნველყოფს 3 თანამშრომელი - დარაჯი. დანიშნულია უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირი. **სკოლაში, სასწავლო პროცესის დროს, დამატებით წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებლები. თუმცა ამ ინსტიტუციის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ არცერთ მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის გაწერილი ინფორმაცია. რა ევალება მორიგე მასწავლებელს, ან რა პასუხისმგებლობის ზომები გატარდება მის მიმართ მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მით უფრო, როდესაც ხელშეკრულებაშიც არ აქვს ეს ვალდებულებები გაწერილი.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **ექსპერტთა ჯგუფმა მისცა რეკომენდაცია, რომ დებულებაში ან თანამდებობრივი ინსტრუქციების ნაწილში, ასევე შრომით ხელშეკრულებებში აესახათ სამუშაო აღწერილობა.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“;<br>• ვიზუალური დათვალიერებ. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| |
|---|
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** |

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად და 24 საათის განმავლობაში კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის ვიდეოდათვალიერება ხდება 25 ვიდეოკამერის საშუალებით მათგან 20 შიდა კამერაა, 5 გარე. გარე. ვიდეოკამერების სიგნალი მიეწოდება დირექტორის კაბინეტში, დაცვის ოთახში და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის კაბინეტში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• კამერების შეყიდვის ზედნადებები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| |
|---|
| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს წესდება, სკოლის დებულება და შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სხვა შიდა დოკუმენტები, რომელთა საშუალებითაც სკოლა გეგმავს და წარმართავს საკუთარ საქმიანობას და იღებს გადაწყვეტილებებს. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, მმართველი ორგანოების ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის დებულებაში გაწერილია სკოლის მიზნები, ამოცანები, უფლებამოსილების და მართვის პრინციპები, სკოლის სტრუქტურა და მართვა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, აგრეთვე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხები. სკოლის დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს, მშობლებთან ურთიერთობის წესს და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სკოლის შინაგანაწესი განთავსებული ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. შიმაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.<br>**დირექტორის მიერ განხორციელებული სახდელების დადების შესახებ ბრძანებების გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ფაქტები:**<br>**1. მოსწავლის მიმართ გამოცემული ბრძანება არ შეესაბამება შინაგანაწესის მოთხოვნებს და შესაბამისად დადებული** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სახდელიც არის არამართლზომიერი. კერძოდ: მოსწავლის მიერ ერთდროულად ჩადენილი გადაცდომების შემთხვევაში, შინაგანაწესის 29 მუხლის შესაბამისად უნდა დადებოდა იმ გადაცდომებს შორის უმაღლესისთვის განკუთვნილი პასუხისმგებლობის ზომა, ხოლო მოსწავლეს დადებული აქვს 27-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური ზომა, რაც ითვალისწინებს განმეორების შემთხვევაში გადაცდომის სიმძიმის შესაბამის რეაგირებას.<br>2. მასწავლებლების გაცდენა -დავიანების შესახებ დადებულია დისციპლინური სახდელი - გაფთხილება დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. სამსახურებრივი ბარათის შინაარსის გადამოწმებისას გაირკვა, რომ დირექტორის მოადგილეს, იგივე გადაცდომის კონტექსტში არ ჰქონდა დასახელებული 2 მასწავლებელი. დირექტორის მოადგილესთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მას გამორჩა იმ 2 მასწავლებლის ატვირთვა.<br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ბრძანების გამოცემის დროს იხელმძღვანელოს შინაგანაწესში გაწერილი დებულებებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება, შინაგანაწესი, დებულება, სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.<br>• დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები;<br>• მასწავლებლების მოხსენებითი ბარათები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები. სკოლის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს 2017-2023 წლების სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმას, რომელიც სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია ზოგადი, ფუნდამენტური პრინციპები და სტრატეგიული პრიორიტეტები. სტრატეგიული გეგმა შემუშავდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზის საფუძველზე. 6 წლიანი გეგმით განსაზღვრულია მატერიალური რესურსების მუდმივი განახლების და სრულყოფის აქტივობები, როგორიცაა: სკოლის შენობის მუდმივი კეთილმოწყობარემონტი, სამედიცინო კაბინეტის პერიოდული შევსება პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი პრეპარატებითა და ინვენტარით, IT ინფრასტუქტურის შეძენა და განახლება, (პროექტორები, კომპიუტერები, ვიდეო კამერები, პრინტერები), ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება, სხვადასხვა სასწავლო რესურსების შეძენა/შექმნა, ინვენტარის შეძენა და სხვა. 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და წრმოადგენს მის ნაწილს. წინამდებარე გეგმის შესრულება შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. ერთწლიანი გეგმით აგრეთვე განსაზღცრულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა. მიმდინარე პერიოდისთვის სკოლას შესრულებული აქვს ერთწლიანი გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი აქტივობა, ზოგიერთი კი შესრულების პროცესშია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა;<br>• 1 წლიანი განვითარების გეგმა. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებილი აქვს სკოლის ,,საქმისწარმოების ერთიანი წესი“. ერთიანი საქმისწარმოების წესი მტკიცდება დირექტრის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით წინამდებარე საქმისწარმოების წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია სკოლაში იწარმოება: 1. შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 2. გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 3. საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; 4. საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; 5. მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი; 6. შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი;<br><br>ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა საქმისწარმოების ჟურნალი დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. ჟურნალების შესაბამის საქაღალდეებში დაცულია შესაბამისი კორესპოდენციის ასლი ან დედანი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>• სარეგისტრაციო ჟურნალები და შესაბამისი საქაღალდეები;<br>• ვიზუალური დათვალიერიება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- -----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

### 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი. სკოლაში 69 თანამშრომელია, მათ შორის 47 მასწავლებელი. სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს წარმოადგენს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე საფინანსო დარგში, დირექტორის მოადგილე დაწყებით საფეხურზე, დირექტორის მოადგილე საბაზო-საშუალო საფეხურზე, ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი, ბუღალტერი, სკოლის ექიმი, სპეც. მასწავლებელი, IT სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, 3 დარაჯი, 4 დამლაგებელი, დირექტორის მრჩეველი. დირექტორი, დაწყებითი და საბაზო საშუალო საფეხურის დირექტორის მოადგილეები და ხარისხის მართვის მენეჯერი ამავე დროს მასწავლებლებიც არიან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • E-school-ის ბაზის მონაცემები;<br>• საათობრივი ბადე, მასწავლებელთა დატვირთვით;<br>• სკოლის დებულება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ** | |
|---|---|
| **პედაგოგთა საერთო რაოდენობა** | **47** |
| **მოწვეული/მაძიებელი/უსტატუსო** | **1/2/3** |
| **პრაქტიკოსი მასწავლებლი** | |
| **უფროსი მასწავლებლი** | **38** |
| **წამყვანი მასწავლებლი** | **3** |
| **მენტორის სტატუსი** | **0** |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის მასწავლებლების უმრავლესობა შერჩეულია ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად. Teachers.gov.ge – ს გადამოწმების შედეგად დაფიქსირდა სპორტის მასწავლებლის (მ.ზ) კონკურსის გამოცხადების გარეშე მიღების შემთხვევა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | მასწავლებლების პირადი საქმეები<br>ხელშეკრულებები თანამშრომლებთან;<br>www. Teachers.gov.ge |
| **შეფასება:** | ☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ---------- -------

ბ.ა.

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შინაგანაწესში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. სკოლაში თანამშრომელთა წახალისებისაზე და დისციპლინურ წარმოებაზე უფლებამოსილი ორგანოა სკოლის დირექტორი და დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობა და მუშაობის წესი განსაზღვრულია დისციპლინური კომიტეტის დებულებით.<br>**აღსანისნავია, რომ მასწავლებლის შერჩევის მესამე ეტაპად სკოლას არ აქვს დაკონკრეტებული რას ითხოვს მასწავლებლისგან, რაც ქმნის არაობიექტურობის განცდას და ხელს უშლის გამჭვირველე სისტემის ჩამოყალიბებას.**<br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შინაგანაწესში, მასწავლებლის შერჩევის წესის ნაწილში ან საერთოდ ამოიღოს, ან კონკრეტულად გაწეროს კონკურსის მესამე ეტაპისთვის აუცილებელი მოთხოვნები.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• დისციპლინური კომიტეტის დებულება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, გატარებულია ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალში |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ხელშეკრულებები;<br>• ხელშეკრულების აღრიცხვის ჟურნალი. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, ჰყავს აღნიშნული ჯგუფი და ხარისხის მართვის მენეჯერი. მასწავლებლები ჩართული არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში. სქემის მოთხოვნათა შაესაბამისად და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკიდან გამომდინარე სკოლა ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. ამ მიზნით ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლებს ესწრება გაკვეთილზე და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას. ამასთან ერთად გაკვეთილზე დასწრების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ერთნაირი საჭიროების მქონე მასწავლებლებთან ტარდება სამუშაო შეხვედრები, ან იგზავნებიან მიზნობრივად საჭიროებაზე მორგებულ ტრენინგებზე. ამასთან პროფესიული განვითარების მიზნით სკოლის დირექტორის ჩართულობით, ხარისხის მართვის მენეჯერისა და კათედრის ხელმძღვანელობის მონაწილეობით ყოველ პარასკევს იმართება სამუშაო შეხვედრები, სადაც განიხილიბე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხები გარდა ამისა სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლების მიერ საკუთარი ინიციატივით ტრენინგებში მონაწილეობის აქტივობებს.<br>**ძირითადად აქცენტი გადატანილია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და ნაკლები ყურადღება ეთმობა პერსონალის პროფესიულ განვითარებას. აღსანისნავია, შრომის უსაფრთხოების მიზნით ტრენინგები ჩაუტარდა სკოლის ყველა თანამშრომელს. ხანძარსაწინაარმდეგო აქტივობების განხორციელების მიზნით სკოლასი დამონტაჟდა ელექტრო შეტყობინების სისტემა, რისი მოხმარების ფარგლებში გადამზადდა შესაბამისი პირები.**<br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს პერსონალის გადამზადებას და მათ პროფესიულ განვითარებას.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>• შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ვალდებულებები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში არის დაცულობისა და კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. ხშირია, როცა სკოლის კურსდამთავრებულებს, დაოჯახების შემდეგ შვილებიც ამავე სკოლაში მოჰყავთ სასწავლებლად, ხშირად თავიანთ ყოფილ მასწავლებლებთან. ასეთი გარემოებები გარკვეულ ტრადიციებს ამკვიდრებს და სასკოლო საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი. სკოლის თანამშრომელთა დიდი ნაწილი სწორედ სკოლის დაარსების პირველივე დღიდან მოღვაწეობს სკოლაში. სკოლა აკეთებს ყველაფერს, რათა მოსწავლეთათვის ერთნაირად საინტერესო იყოს სასკოლო და შემოქმედებითი ცხოვრება. ბევრ სასწავლო აქტივობასთან ერთად იმართება შემეცნებითი ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრები. ყველა საგნობრივ კათედრას შემუშავებული აქვს წლიური სამუშაო პროგრამა და თემატური აქტივობები. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, თანატოლებთან და მასწავლებლებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები მიმდინარე ღონისძიებებში. სკოლაში ხშირად იმართება მოსწავლეთა შორის სპორტული შეჯიბრებები სხვადასხვა სპორტულ სახეობებში, ტარდება სასკოლო ტურნირები ფეხბურთში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში. იმართება მხიარული სტარტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მშობელთა ჩართულობა სასკოლო სპორტულ ცხოვრებაში. მიმდინარე ღონისძიებების შესახებ სკოლა ინფორმაციებს აქვეყნებს სკოლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ვებგვერდსა და სოციალურ სივრცეში. სკოლის ტრადიციაა არაფორმალური შეხვედრები თანამშრომელთა შორისაც სასკოლო ექსკურსიების ან სხვა აქტივობების სახით. მომდინარე სასწავლო წლის (და არამარტო ამ წელს) 20 ნოემბერს, მსოფლიო ბავშვთა დღესთან დაკავშირებით სკოლაში განხორციელდა აქტივობა „ერთი დღე მოსწავლეთა თვითმმართველობის ხელმძღვანელობით“, რომლის ფარგლებში სკოლა სამართავად გადაეცათ მოსწავლეებს, ისინი წარმოადგენდნენ სკოლის ადმინისტრაციულ-პერსონალს და მასწავლებლებს VII-XII კლასის გაკვეთილების ჩასატარებლად. აქტივობის მიზანი იყო ემპათიისა და კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბება- განმტკიცება საზოგადოებას შორის. მოსწავლეებმა გაიაზრეს მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის სამუშაო სპეციფიკა, შეითავსეს დირექტორის, ბიბლიოთეკარის, ბუღალტრის პოზიციები და დღის ბოლოს ანგარიში წარუდგინეს თვითმმართველობის ხელმძღვანელობას. განსაკუთრებით აქტიურია სასკოლო ცხოვრება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის, დედაენის შემობრძანება და გაცილება, მრავალი სახალისო აქტივობა, სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებული შემოქმედებითი ღონისძიებები, შემოდგომის ფესტივალი; პროგრამა - შობა გერმანიაში; საახალწლო ზეიმები, გასვლითი შემეცნებითი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობასა და გარემოსთან ინტეგრირებას. დაგეგმილი თემატურ-შემეცნებითი ექსკურსიები, კერძოდ, მუზეუმების, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის სტუმრობა, ავტომუზეუმის დათვალიერება, ექსპერიმენტორიუმში ვიზიტი, ბაზალეთისა და ანანურის მონახულება, გოეთეს უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დათვალიერება სტუდენტთა სამუშაო სპეციფიკის გაცნობის მიზნით, - ეს ის მცირე ჩამონათვალია, რაც სკოლის უფროსკლასელებმა და მათმა პედაგოგებმა განახორციელეს პირველი სემესტრის მიმდინარეობისას. განსაკუთრებით აღსანიშნავია თვითმმართველობის ინიციატივით დაგეგმილი საქველმოქმედო ღონისძიება. მთელი სკოლა აქტიურად იყო ჩაბმული წამოწყებულ ინიციატივაში. შეგროვდა თბილი ტანსაცმელი, სათამაშოები, არაფუჭებადი საკვები პროდუქტები და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | გადაეცა მიუსაფარ და მზრუნველობამოკლებულ მოზარდთა ოჯახებს. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას ეწვია მსახიობი, პოეტი, პედაგოგი ქალბატონი ელდინო საღარაძე და შეხვდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წარმომადგენლებს, გაიმართა საინტერესო დის კუსია, რითაც მოსწავლეთა მოტივაცია საგრძნობლად გაიზარდა. სკოლა რომ ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტიც, რომ პირველი სემესტრი მიწურულს, მშობელთა მხრიდან წამოვიდა ინიციატივა, რომ შეექმნათ ქსოვისა და კულინარიის კლუბები, სადაც მრავალფეროვანი და მრავალეროვანი სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალება მიეცემა მისი ერის კულტურული მრავალფეროვნება, ქსოვის და კულინარიის მიმართულებით, გააცნოს დაინტერესებულ პირებს (სასკოლო საზოგადოების წევრებს) და საჭიროების შემთხვევაში შეასწავლოს კიდეც. მიმდინარე პერიოდისთვის ქსოვის კლუბი იკრიბება ყოველ ოთხშაბათს, კულინარიის კლუბი, ყოველ პარასკევს. უკვე შედგა რამდენიმე შეხვედრა და უკვე შეიმჩნევა მონაწილეთა (ანუ დაინტერესებულთა) მზარდი რაოდენობა. სკოლაში ხშირად ტარდება ანონიმური გამოკითხვები მმშობლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან. კითხვარებში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს სკოლა ითვალისწინებს თავის მომავალ საქმიანობაში, რაც სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით გარემოს უწყობს ხელს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• გამოკითხის კითხვარები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | სკოლამ იხელმძღვანელოს ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების მოთხოვნათა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესაბამისად და ვაკანტური თანამდებობები შეავსონ მხოლოდ კონკურსის გამოცხადების შედეგად. |
| **რჩევები:** | |
| **ხარვეზები:** | დარღვეულია, Teachers.gov.ge – ზე კონკურსის გამოცხადების წესი, რაც გამოიხატა იმაში, რომ სპორტის მასწავლებლი (მ.ზ) მიღებულია ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების გარეშე. |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☒ **სტანდარტი დარღვეულია** |

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი 26/06/2023

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 54



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --- ----------
-------

ბ.ა.